ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი 1-3

ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ მიერ 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად კონკურსის მეშვეობით ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ საკონკურსო განცხადების (N1533) შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტაციების გახსნა-განხილვასთან დაკავშირებით 2015 წლის 31 მარტს 17:00 სთ-ზე შედგა ა(ა)იპ „ბათუმის განვითრების ფონდის“ საკონკურსო კომისიის სხდომა, საკონკურსო განცხადების განხილვასთან დაკავშირებით.
სხდომას ესწრებოდნენ:
სატენდერო კომისიის და აპარატის წევრები შემდეგი შემადგენლობით:
ა) თავმჯდომარე: ავთანდილ დარჩია;
ბ) წევრი: ელგუჯა ხაზარაძე (მოწვეული);
გ) წევრი: ამირან შაქარაძე;
დ) წევრი: გიორგი კაცაძე;
საკონკურსო კომისიის აპარატი წევრი: ხათუნა გოგუაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. საკითხი – ძველი ბათუმის ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი სახლების ეზოების ჭიშკრების დამზადება, აღდგენა/რესტავრაციასთან დაკავშირებით დიზაინის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ტექნიკური დავალების შედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსზე (1533) წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა შერჩევა-შეფასების მიზნით;
განიხილეს: საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ საკონკურსო განცხადების (1533) შედეგებს, რომლის თანახმადაც აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა: შპს „არტგრუპი“ (ს/კ 445458291).
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის (შპს „არტგრუპი“) შემოთავაზება.
ამასთან წარმოდგენილი იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:
1. ფასების ცხრილი - 10000 (ათი ათასი) ლარი;
2. ეზოების ჭიშკრების დიზაინისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო - 25 ესკიზი საერთო ფასით - წარმოდგენილის 10000 (ათი ათასი) ლარი, ნაცვლად ფაქტიური ღირებულებისა წარმოდგენილია 10000 ლარის განფასება თითოეულ კარებზე;
3. რეკვიზიტები;
კომისიამ განიხილა პრეტენდენტის შპს „არტგრუპი“ -ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კომისიამ იმსჯელა საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და დაადგინა:
1). რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის დიდი მოცულობისა და მოითხოვს დეტალურ ანალიზს, ამიტომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეისწავლოს პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია;

/ავთანდილ დარჩია/
/ელგუჯა ხაზარაძე/
/ამირან შაქარაძე/
/გიორგი კაცაძე/